პარასკევი, 1918 წ. გიორგობისთვის 1 № 208
წლიწადი მეოთხე

პარასკევი, 1918 წ. გიორგობისთვის 1 № 208
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა
„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სიჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

უაზისა და სურის სექტორში მოკავშირენი გერმანელებზე საშინელი იერიშებით წამოვიდნენ. მოკავშირენი დამარცხდნენ.

ტურნეს განპირა უბნებს და შელდის დაბლობის დაბებს ინგლისელები უშენენ.

ფამართან და ენგლფონტენთან გერმანელები მოწინააღმდეგის ძლიერ იერიშებს იგერიებენ.

საფრანგეთის ჯარმა ნიზი-დე-კონტის და ენის შუა ტანკების დახმარებით იერიშები განაახლა.

გენ. უბერხარდის და ფონ-ბელოვის ჯარებმა მოკავშირეთა იერიშები მოიგერიეს და გაიმარჯვეს.

ვენეციის ველში ინგლისელები და იტალიელები წინ მიიწევენ.

ავსტრიელები დროებით ზავისთვის იტალიის საზღვარზე დაჭერილ ადგილებს ჰკლიან.

ავსტრია-ჰუნგრეთის საგარეო საქმეთა მინ. ანდრაშმა დეპეშით მიჰმართა სტატს-სეკრეტარს, რათა მან იშუამდგომლოს, პრეზიდენტის წინაშე, ყველა ასპარეზზე დროებითი ზავი ჩამოაგდონ.

ბუსიგში სახალხო საბჭომ გადაწყვიტა ბოჰემია გერმანეთის იმპერიას შეუერთდეს.

გერმანელთა ეროვნულ პარტიამ [illegible] გამოსთქვა [illegible] ტის კლონს გამო.

ინგლისმა მიიღო ავსტრია-ჰუნგრეთის პასუხი ვილსონის ნოტაზე.

ჩეხის ეროვნულ კომიტეტმა დაადგინა, ამიერიდან ყველა კანონ-ბრძანება და მართვა-გამგეობა ჩეხიის ეროვნულ საბჭოს დაექვემდებაროს.

ალექსანდრა ილიას ასული გვახარია, შვილები: კონსტანტინე, იოსები, ნინო და გიორგი რძლებით: ვალენტინა და ევგენია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ღვინობისთვეს ხანმოკლე ავადმყოფობის მერე გარდაიცვალა პირველის საყვარელი ქალიშვილი, მეორეთა და და მესამეთა რძალი

ლიზიკო მახარობლისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 6 საათზე მატინოვის ქუჩა № 6. ცხედრის გამოსვენება მოხდება შაბათს 2 გიორგობისთვეს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.
2—1849—1

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა საყურადღებოდ

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი, ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო-ტელეგრაფის შესასწავლათ საჭირონი არიან ახალგაზდა ჯარისკაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟენერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება თბილისის სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ, ნაშუადღევის ორი საათიდგან ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა.

7—50—4 სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი **თაყაიშვილი.**

განცხადება

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონერული საზოგადოების დამაარსებელნი

ამით აცხადებენ, რომ 1918 წლის 27 ენკენისთვეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცებული საზოგადოების წესდება, გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა-“ში. ღვინობისთვის 24 და რომ აქციების შეძენაზედ ხელის მოწერა გაიხსნა კიდეც.

გასასყიდი აქციების რიცხვი სამოცი ათასია

თითო აქციის ღირებულებაა ხუთასი მანეთი, რომელი ღირებულებაც უნდა იქნეს შემოტანილი ერთჟამად ნაღდ ფულათ მაშინ, როდესაც შეძენის მსურველნი ხელს მოაწერენ აქციების ყიდვაზედ. ამის გარდა თითო აქციაზე საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ოცი მანეთი უნდა შემოიტანონ.

ხელის მოწერის ვადათ ინიშნება ექვსი თვე ამ განცხადების დასტამბვის დღიდან

რიცხვი აქციებისა, რომელიც უნდა მიეყიდოს თვითეულ პიროვნებას, განსაზღვრული არ არის. ხოლო მის შემდეგ, როდესაც შეიკრიბება ერთი მეოთხედი ძირითადი თანხისა, მოხდება დამფუძნებლების პირველი საზოგადო კრება, რომელზედაც შემუშავებული იქნება აქციების განწესრიგებისა საფუძველი და განსაზღვრული რიცხვი თვითეულ პირზე გასაყიდ აქციებისა.

აქციების შეძენის შესახებ ხელის მოწერა და აქციების ღირებულება მიიღება დამფუძნებელთა საორგანიზაციო კომიტეტების მიერ: 1) ქ. თბილისში, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს კანტორის ბინაზე, გოლოვინის პროსპექტზე № 19, წინანდელი სახელმწიფო საზნაურ სამიწაწულო ბანკის ბინა; და 2) ქ. ჭიათურა, (ქუთაისის გუბერნია), საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბინა.

1—148—1 თვისით და დანარჩენ დამფუძნებელთა მონდობილობით **სოლომონ ექვთიმეს ძე წერეთელი.**

ავსტრია-ჰუნგრეთის უკანასკნელი ნოტის გამო

როგორც მოსალოდნელი იყო, მოკავშირეების მსწრაფლმა წინსვლამ სერბიისა და ალბანიის ტერიტორიაზე დიდათ დააჩქარა ავსტრია-ჰუნგრეთის ორგანიზმის დაშლა. სამი წლის წინად დუნაის მონარქიამ გაუძლო მრავალრიცხოვანი რუსის არმიის შეტევას და უმტკივნეულოდ გადაიტანა მთელი აღმოსავლეთი გალიციის დროებით დაკარგვა. მას შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ჯერ კიდევ არც ერთს მტრის ჯარისკაცს ფეხი არ შეუდგამს ჰაბსბურგთა სამფლობელოში. მაგრამ საკმაო იყო ნიშში სერბიელები შეჭრილიყვნენ, ხოლო ალესიაში იტალიელები, რომ მთელი ავსტრია-ჰუნგრეთი შეშფოთებულიყო და შერყეულიყო საფუძვლიანად. ეროვნულმა ბრძოლამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ვერც გენერალ ბრუსილოვის, ვერც გენერალ ავერესკოს ხმალმა.

17 ღვინობისთვეს იმპერატორმა კარლოსმა საგანგებო მანიფესტით აცნობა ავსტრია-ჰუნგრეთის ერებს, რომ ორმაგი მონარქია სახელმწიფოთა კავშირად უნდა გადაიქცეს. ამგვარად მან თითქო დააკმაყოფილა ვილსონის პროგრამა, რომელიც როგორც ცნობილია, ავსტრია-ჰუნგრეთის კონფედერაციის შექმნას მოითხოვს, იმ პირობით რომ დასავლეთი გალიცია დამოუკიდებელს პოლონეთს გადაეცეს. მაგრამ როგორც სჩანს მოვლენათა განვითარებამ გადააჭარბა კიდეც ამ პროგრამას და ავსტრია-ჰუნგრეთის ერებს აღარ აკმაყოფილებთ არც იმპერატორ კარლოსის მანიფესტი, არც პრეზიდენტ ვილსონის პუნქტები. ჩეხელების ხელმძღვანელმა პოლიტიკოსებმა აშკარად განაცხადეს, რომ ჩეხურ-სლოვაკური სახელმწიფოს შექმნას სთვლიან არა შინაურ, არამედ საერთაშორისო საკითხად. ეს განცხადება გასაკვირალი არ არის, მას შემდეგ რაც ინგლისის მთავრობამ ჩეხურ-სლოვაკური მოხალისეები თავის მოკავშირეებად აღიარა, რუმინელებმა და უკრაინელებმა [illegible] დაპეშტის [illegible] თის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თვით ბუდაპეშტის პარლამენტში გრაფმა სტ. ტისსამ, რომელიც წინად ყოველთვის რეალური უნიის მომხრე იყო, განაცხადა, რომ ჰუნგრეთმა დამოუკიდებლობა უნდა მიიღოს პერსონალური უნიის ნიადაგზე; ჰუნგრელი ლიბერალების ბელადმა მოითხოვა, რომ მონარქიამ გერმანიასთან კავშირი შესწყვიტოს და სეპარატიულად საზავო მოლაპარაკება დაიწყოს; ეს მისი აზრი ღალატს როდი ნიშნავს.

მაგრამ ყველაზე უშუალოდ სერბიელი და იტალიელი ჯარის შეტევა რასაკვირველია, იუგოსლავიანებს ეხება. იუგოსლოვიანები იგივე სერბიელებია: მათ შორის მხოლოდ სარწმუნოებრივი განსხვავებაა. მაგრამ კათოლიკე ხორვატებიცა და მაჰმადიანი ბოსნიელ-ჰერცეგოვინელებიც მართლმადიდებელ სერბიელ რაზმებს მოუთმენლად ელიან როგორც მხსნელებს და უეჭველია ფეხზე დადგებიან თუ მეფისწულის ალექსანდრეს ჯარმა დუნაი და სვა გადალახა. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, როცა ცენტრალური კავშირის შანსები მტკიცე იყო, იუგოსლოვიანების განმათავისუფლებელი კომიტეტი საპროგრამო დეკლარაციაში საქვეყნოდ აცხადებდა: „ავსტრია-ჰუნგრეთმა და გერმანიამ იუგოსლოვიანებს თავს მოახვია ძმის მკვლელი ომი. რვა მილიონი იუგოსლოვიანები იძულებული არიან თავიანთ ძმებსა და მხსნელებს ებრძოლონ... სერბია და მთაშავეთი აწარმოებენ თავდამცველსა და განმათავისუფლებელს და არა დამპყრობელ ომს; ეს სახელმწიფოები სცდილობენ ჩვენი ხალხი უცხოელების უღელისაგან იხსნან, რათა შემდეგ ერთი თავისუფალი ერი შესდგეს... იუგოსლოვიანები ერთ მთლიან ეროვნებას წარმოადგენენ, როგორც ენით, ისე ტერიტორიით და ეროვნული შეგნებით... შემდეგი პროვინციები შედის იუგოსლოვიანების მიერ დასახლებულს ფარგალში: სერბიისა და მთაშავეთის სამეფოები კროაცია, სლავონია და დალმაცია, ფიუმეს ნავთსადგურითურთ; ბოსნია და ჰერცეგოვინა; ისტრიის, ტრიესტის, კარინტიისა და შტირიის დიდი ნაწილები; ბოლოს ჰუნგრეთის იუგოსლოვიანური ზონა“.

თვით გერმანიისათვის არც ერთს პრობლემას არ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც იუგოსლოვიანურს. როგორც არ უნდა შემოიფარგლოს [illegible] ჩეხიისა და ჰუნგრეთის [illegible] თუ იუგოსლოვიანური ტომი მართლაც ფიუმედან და აგრამიდან დაწყებული პრილეპსა და მონასტირამდე გაერთიანდა ადრიატიკაც და მასთან ერთად ხმელთა შუა ზღვა დაიკეტება გერმანელი ტომისთვის. ბოლო მოეღება იმ ოცნებას, რომელსაც ჯერ კიდევ ოტტონები და ჰოჰენშტაუფენები ასაზრდოებდნენ და მეოცე საუკუნეში ამდენი მსხვერპლი შეიწირა თვით გერმანიის დემოკრატიისაგან. გერმანიისა და სლავიაკების საუკუნოებრივი მეტოქეობა შუაგულ ევროპაში დიდი ხნით უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყდება და გერმანიას გადაეჩხირება არა მარტო სამხრეთის, არამედ აღმოსავლეთის გზებიც.

თვით გერმანელი ინტერნაციონალისტებიც კი კარგად უნდა გრძნობდნენ ამ საფრთხეს. ვენის სოციალდემოკრატიული გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“ მკაცრათ ებრძვის სეპარატიზმს დ სახელმწიფოთა კავშირის იდეას იცავს: „ხოლო იმ შემთხვევაში თუ სხვა ერები ასეთ კავშირს არ ისურვებენ ან ისურვებენ ისეთის სახით, რომ ავსტრიის გერმანული პროვინციები ეკონომიურად განადგურდებიან, მაშინ ავსტრიელი გერმანელები გერმანიასთან შეერთებას არჩევენ“.

უფრო მოსალოდნელია ამ უკანასკნელი შესაძლებლობის განხორციელება; იგივე სტიქიონი რომელიც სლავიანურ სეპარატიზმს ასაზრდოებს, გაერთიანების სურვილს აძლიერებს, გერმანელ ერში. თორმეტი მილიონი გერმანელი სცხოვრობს ავსტრია-ჰუნგრეთში. თუ დიდი სერბია და დიდი ბულგარეთი აღსდგა, ბოლოს დიდი გერმანიის იდეაც გაიმარჯვებს: მით უმეტეს თუ მართლაც ინგლის-საფრანგეთის პროგრამის მიხედვით ჰაბსბურგთა მონარქია დაიშალა და თვით გერმანიას ელზას ლორენი და პოზნანი ჩამოეცალა.

ვენის მთავრობის ნოტა ამერიკისადმი მიმართული, რომელიც დეპეშათა სააგენტომ გუშინ გადმოგვცა, უკანასკნელი ცდაა სასოწარკვეთილი მდგომარეობის თავის დასაღწევად. ამ [illegible]ტის მიხედვით ავსტრია-ჰუნგრეთი [illegible] შეერთებულ შტატებთან სეპარატიული საზავო მოლაპარაკება გამართოს: ამასთან ერთად სრულს თანხმობას უცხადებს „ვილსონის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ხალხთა უფლებებისა და განსაკუთრებით ჩეხო- [illegible] ლოგიკა მოითხოვს, რომ ვაშინგტონის მთავრობა თანაგრძნობით შეხვდეს ავსტრია-ჰუნგრეთის წინადადებას. მაგრამ მოითხოვს თუ არა ამას ომის ლოგიკა, ეს ჩქარა გამოაშკარავდება.

გერონტი ქიქოძე.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

საქართველოს მთავრობის თაოსნობით ამ დღეებში მოწვეული იქნება ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია. ეს ნაბიჯი ჩვენი მთავრობისა მეტად გონიერი და მოსაწონია. ყოველთვის ჩვენზე უფრო დამკვიდრებული და გამაგრებული სახელმწიფოებიც კი უნდა ცდილობდნენ ყოველ სადავო საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით მოახერხონ. მით უფრო სასურველით ჩვენთვის ჩვენ მეზობლებთან ყველა სადავო საკითხების შესახებ შევთანხმდეთ და ამით საერთო მოქმედების გზა გავიადვილოთ. ბევრია ისეთი საკითხები, რომელნიც მოითხოვენ დაუყონებლივ მოწესრიგებას და რომელთა გამორკვევა საგრძნობლად გაგვიადვილებს მომავალ მუშაობას. ასეთია—საკითხი ტერიტორიული გამიჯვნისა, რკინის გზებით სარგებლობისა, ფოსტა-ტელეგრაფის კონვენცია, საქონლის გაცვლა და მრავალი სხვა.

თუ ჩვენ დიდის იმედით ვეგებებით განზრახულ კონფერენციას, ამავე დროს არ შეგვიძლია ჩვენი მთავრობა არ გავაფრთხილოთ და არ მიეცეთ მას წინადადება იყოს მეტად წინდახედული და გარკვეული პროგრამით იმოქმედოს მომავალ კონფერენციაზე.

საქმე ისაა, რომ ჯერ-ჯერობით სრულიად არაა გამორკვეული ჩვენ მეზობელ რესპუბლიკების პოლიტიკური პოზიცია. თუ ადერბეიჯანი ოსმალეთთან მჭიდრო კავშირისკენ მიილტვის, სომხეთი შეიძლება მოხარულიც იყოს ახალ რესპუბლიკებთან ერთად თვითონაც დაიმარხოს, ოღონდ ხელახლა ნახოს ჩვენ ზურგზე მოპარპაშე რუსეთი. ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოს ხელმძღვანელ პარტიაშიაც საკმაოდ დარჩენილია კიდევ ძველი რუსული დანალექი, რომელიც ყალბად გაგებულ ინტერნაციონალიზმის სახელით ცდილობს ხელახლა შეგვაბას ძველ მონობის უღელში. ასეთ პირობებში ჩვენი მთავრობის პოზიცია მეტად საფრთხილოა. დღემდის საგარეო პოლიტიკაში ჩვენი მთავრობის მოქმედების ხაზი გარკვევით მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ და საგრძნობელადაც ნაბიჯი გადავდგით, ყოველი გადახვევა, ყოველი ღალატი ამ გზისათვის ჩვენი მომავლის დამღუპველი იქნებოდა. ნეიტრალობა და დამოუკიდებლობა ეს უნდა იყოს წინამდებურად ორი ბჯე ჩვენი სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა. ყოველი შეთანხმება, იქნება ეს პოლიტიკური თუ ეკონომიური ხასიათისა ამ ორ პრინციპს უნდა ეგუებოდეს, მათ ამაგრებდეს და ამკვიდრებდეს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობას და უმრავლესობის პარტიას სავსებით შეგნებული აქვთ ის მძიმე პასუხისმგებლობა ქართველ ერის წინაშე, რომელიც მათ ისტორიამ დააკისრა. ამიტომაც გვწამს, რომ მთავრობა საკმაო სიფრთხილით და წინდახედულობით იმოქმედებს მომავალ კონფერენციაზე, სძლევს შინაგან ინტრიგებს და [illegible]

ამავე დროს ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი მეზობლები დააფასებენ საქართველოს მშვიდობიან მისწრაფებათ, მხედველობაში იქონიებენ ჩვენ სამართლიან მოთხოვნათ, რაც გაგვიადვილებს მეგობრულ მეზობლურ თანამშრომლობას.

პ. სურგულაძე.

პ რ ე ს ს ა

სომხეთის თავდასხმამ ჩვენს სამხრეთ სანაპიროზე სახელმწიფო საზღვრების საბოლოოთ გამიჯვნის საკითხი განაცხოველა.

სომხის აგრესსიულ პოლიტიკის ხელმძღვანელებმა იგრძნეს, რომ ტერიტორიის გასაფართოებლად საეჭვო ზომას მიჰმართეს და სადავო სკითხების მშვიდობიანის გზით გადაჭრაზე თანხმობას გვიცხადებენ.

საქართველოს მთავრობამ კიდევაც გადასდგა ნაბიჯი კეთილმეზობლობის დამყარებისათვის: იგი 10 გიორგობისთვის თფილისში კავკასიის სახელმწიფოთა და ხალხთა კონფერენციას იწვევს.

ამ მომავალ კონფერენციას ეხება „ერთობა“:

უნდა გამოვტყდეთ რომ ჩვენ ერთობ სკეპტიკურად ვუცქერით კონფერენციის მუშაობას. ჩვენ გადაჭრით და ხელაღებით ვერ დავენდობით იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც დიდი ხნის პრაქტიკა აქვთ მიღებული საერთაშორისო რყევის და გაძრომ გამოძრომის საქმეში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზღვრების საკითხის გადაჭრაც არ არის ისე ადვილი, როგორც ეს ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველს ჰგონია, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია არ დავემყაროთ სახელმწიფოს არსებით ინტერესების თვალსაზრისს, ხოლო ჩვენი მეზობლები ეტნოგრაფიულ მოსახლეობას იმიზეზებენ, თუმცა კარგათ იციან, რომ ეს მოსახლეობა ხელოვნურათ არის შექმნილი რუსეთის ბიუროკრატიის მიერ ჩვენი სახელმწიფოებრივ ინტერესების წინაალმდეგ.

ამით ჩვენ სრულებით არ უარვყოფთ კონფერენციის შესაძლებლობას და, მით უფრო, მის საჭიროებას: არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა კავკასიის ხალხთა შორის შეთანხმება, როგორც ეს დღეს არის. მაგრამ ეს შეთანხმება მხოლოდ მაშინ დადგება მკვიდრ ნიადაგზე, როცა სა-

ქართველო თავისი შინაური წყობილებით და საერთაშორისო მდგომარეობით გაძლიერდება და დაიჭერს იმ ალაგს, რომელიც მას ეკუთვნის.

მხოლოდ ასეთ კულტურულ სახელმწიფოებრივ ძალას გაუწევენ ჩვენი მეზობლები ჯეროვან ანგარიშს.

საქართველოს დემოკრატიის და მთავრობის ყურადღებაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

⁂

გაზეთ „ზნამია“-საც იგივე საკითხი აინტერესებს, მაგრამ მას იგი ჩვეულებრივის მიზნებისათვის აღნიშნავს. რუსული გაზეთი მომავალ კონფერენციას მხოლოდ ერთს ურჩევს, რომ „იხვის ბუდეების“ დაშლა დააჩქაროს და ამიერ-კავკასია გააერთიანოს ალბად, იმიტომ, რომ რუსეთთან მიკედლება გაადვილდეს უფრო.

„მიუხედავად პატარა სახელმწიფოთა დროებით არსებობისა, რომელნიც წარმოიშვნენ ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, ისტორია მაინც მიდის სახელმწიფოების გაერთიანებისაკენ და არა დანაწილებისაკენ... აქედან გასაგებია ის გზაც სახელმწიფოებრივ აღშენებლობისა, რომელსაც უნდა დაადგნენ კავკასიის ხალხნიც, რომელთაც უმთავრესად უნდა იზრუნონ არა იმისთვის, რომ გაამაგრონ დღევანდელი პოლიტიკური ფორმები, არამედ იმისთვის, რომ გაერთიანდნენ... კავკასიის გაერთიანებას მოითხოვს თვით ცხოვრება და ამ გზით წარმოდგენით უნდა ვიდოდეს მომავალი კონფერენციის მუშაობაც“.

გაზეთი ჰგრძნობს, რომ აბსურდულ იდეებს ქადაგობს, ყოვლად მიუღებელის მთელი საქართველოს ერისათვის, მაგრამ მაინც იმედოვნებს, რომ პროტესტს მის წინააღმდეგ გამოსთქვამს მხოლოდ ნაციონალისტური ბანაკი! წერილის ბოლოს გაზეთი აცხადებს:

„ჩვენ დაჯერებული ვართ, ეს წერილი დიდს პროტესტს გამოიწვევს შავს ნაციონალისტურ ბანაკში, [illegible] „დამოუკიდებლობის“ ძირის გამოთხრა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა ამ კითხვის დასმა ჩვენ მიგვაჩნია საამდროოდ, როგორც ისეთი საკითხისა რომელიც ეგულება ყველა კავკასიის ხალხისა და დემოკრატიის სულის კვეთებას“.

შტატს გარეშე დატოვებულ რუსჩინოვნიკების სულის-კვეთების უცოდინარობას ვერ მივაწერთ „ზნამია ნაროდას“, მაგრამ ძლიერ ვეჭვობთ, რომ მის პუბლიცისტებმა ასევე ზედმიწევნით იცოდნენ „კავკასიის ხალხთა“ მისწრაფებანი...

„ჰორიზონის“ აზრი სომხეთ-საქართველოს კონფლიქტისათვის

დაშნაკელთა ოფიციოზი „ჰორიზონი“ სწერს:

„არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს რომ თბილისის გუბერნიის ზოგიერთი ადგილები როგორც მაგ. ბორჩალოს სომხობით დასახლებული ადგილები (უმთავრესად ლორი), ახალქალაქი და მასთან ერთად ახალციხის 10—12 სომხური სოფელი ძველი რუსული რეჟიმის თვითნებობითა და მისი უსამართლო პოლიტიკური ანგარიშების გამო შეტანილ იქნენ თბილისის გუბერნიაში. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს რომ სომხის ერი როგორც ძველი რეჟიმის, ისე რევოლიუციურ რუსეთის მფლობელობის დროს სასტიკ უკმაყოფილებას აცხადებდა სომხეთის სხეულის ამ ნაძალადევ დაჭრის გამო. დასასრულ არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენ რომ ეს უკმაყოფილება განსაკუთრებულის ძლიერებით გამომჟღავნდა სწორეთ ერთი წლის წინად, როცა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის და შემდეგ ამიერ-კავკასიის კომისარიატის მაგიდაზე ამიერ-კავკასიის ახალი გადამიჯვნის საკითხი იდვა. ყოველივეს ეს ძალიან კარგად მოეხსენება, აგრეთვე ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით მის დღევანდელ მმართველ წრეებს, რომელნიც სოციალდემოკრატების სახით მუდამ თანახმა იყვნენ ჩვენი პროტესტისა და ყველა კომისიებში იცავდენ ჩვენს მოთხოვნილებებს თანახმად ერთა თვითგამორკვევის სამართლიან და ელემენტარულ უფლებისა. მაშ რა მოხდა ეხლა, რომ ქართველი საზოგადოების ხსენებული წრეები დღეს გულში ხელს იცემენ როცა სომხეთის სხეულისგან ძალით ჩამოჭრილი სომხის ერის ერთი მცირე ნაწილი ლორელების ერთი ნაწილის სახით უერთდება თავის დედა სხეულს?

განა სულ რამდენიმე თვის წინად არ იყო რომ ქართული საზოგადოების ხელმძღვანელმა პირებმა—ჟორ[illegible] ჭამიშვილმა—ისინი არ უარყოფენ სომხების უფლებას თბილისის გუბერნიის იმ ადგილებზე რომელნიც სომხებით დასახლებული არიან და სომხეთის საზღვარზე მდებარეობენ ტ მხოლოდ ოსმალთა შემოსევის საშიშროების გამო დროებით იჭერენ სომხობით დასახლებულ ბორჩალოს ერთ ნაწილს?

მაგრამ ამ დავაში არის ერთი მომენტი რომელსაც სიჩუმით გვერდს ვერ აუვლით. ვთქვათ რომ ის რაც უდავოა როგორც ჩვენთვის ისე ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატისათვის, სადავოა ქართველი დემოკრატიის ბილადებისათვის, ვთქვათ, რომ მათ სხვადასხვა გარემოებათა ზედგავლენით უფლება აქვთ მსწრაფლ გადაუხვიონ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, დაეყრდნონ გოლიცინების განკარგულებაზე და სადავოდ ჩასთვალონ სომხეთის საზღვართან მდებარე სომხობით დასახლებული ადგილების დედა ქვეყანასთან შეერთება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც რა უფლება აქვს საქართველოს როგორც ერთს მოდავეთაგანს, სადავო მიწა-წყალი მიითვისოს და მეორე მხარეს. ყველაფერზე ხელი აალებინოს? ამ კითხვის პასუხს ვერავინ მოგვცემს თუ ის არ მოისურვებს უფლებრივ ნორმების ფარგლის გადალახვას და თვითნებობისა და ძალმომრეობის წრეში არ ჩავარდება.

ამ მსჯელობის ლოღიკური დასკვნაა, თუ სომხეთის მთავრობამ ძალმომრეობის წინაშე ქედი მოიხარა და დღესაც უარი სთქვა ოსმალოს უღლიდან განთავისუფლებული ლორის დედა სომხეთთან შეერთებაზე, ის ამით საბედისწერო სილას გააწნავს თავისავე თავს სამართლიანობისა და დემოკრატიზმის ასპარეზზე, ასეთი უარისთქმა თვითმკვლელობის თანასწორი იქნება, რადგან მას მოჰყვება სომხის ერის ისეთი მრისხანება, რომ ვერც ერთი მთავრობა რა შემადგენლობისაც არ უნდა იყოს ის, ორი დღესაც ველარ იარსებებს სომხეთში.

ხოლო სომხეთის მთავრობა არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ლორის ზემოხსენებული ნაწილის აღებით, მასთან ერთად დაუყონებლივ მან უნდა გამართოს საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება რათა მშვიდობიანის გზით, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად გადაიჭრას ყველა სადავო საკითხები საზღვრების შესახებ ამ ორ ქვეყნის შორის. ეს საქმე საჩქაროდ უნდა გადაწყდეს. ეს საჭიროა არა მარტო სომხეთის შინაგანი საქმეების მოწესრიგებისათვის, არამედ სომხებისა და საქართველოს შორის ერთხელ და სამუდამოდ ნორმალურ მეზობლურ ურთიერთობათა შესაქმნელადაც.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი დემოკრატიის საუკეთესო წარმომად[illegible] ხმას [illegible]ვანდელ უთანხმოების, აგრეთვე [illegible]ვალში საზღვრების გამიჯვნის საკითხებში ფეხ ქვეშ არ გაითელება სამართლიანობისა და დემოკრატიზმის წმინდა მოთხოვნილებანი.

პროფ. ცუმმაიერთან

მორიგ საუბარში ბ-მა ცუმმაიერმა შემდეგი ცნობები გადმოგვცა.

გერმანელ ჯარების წასვლის საკითხი. ღენერალ ფონ კრესის დეპეშებზედ გერმანიიდან ჯერ პასუხი არ მოგვსლია, მაგრამ იმედი მაინც გვაქვს, რომ აპ პასუხს დღეს-ხვალ მივიღებთ. აქ მყოფ ჯარის ერთი მესამედი უკვე დამზადებულია წასასვლელად და ამ ჟამათ ფოთში იმყოფება, მაგრამ თუ გერმანიიდან დეპეშამ მათ მოუსწრო, მათი დარჩენა შესაძლებელი იქნება.

ავსტრია სეპარატიული საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს.

ავსტრიამ უკვე მიმართა ამერიკას სეპარატიული საზავო მოლაპარაკების შესახებ და თანახმაა ეს მოლაპარაკება აწარმოოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა მისი მოკავშირეები წინააღმდეგნი იქნებიან. ამ გვარად მისი გერმანიისაგან დაშორება ომის წარმოების საქმეში უეჭვოა.

მან თავისი ჯარები იტალიიდან გამოიყვანა.

გერმანია და ზავის საკითხი.

თქვენ უკვე დეპეშებიდან იცით რომ გერმანიამ პასუხი გასცა ვილსონის მეორე ნოტაზე.

აქ გავრცელებულია ხმები და ზოგიერთი გაზეთებიც დაჟინებით ამბობენ, თითქოს ამერიკა საზავო მოლაპარაკების აუცილებელ პირობად ვილჰელმის ტახტიდან გადადგომას ითხოვს. ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება. ვილსონმა მოითხოვა მხოლოდ, რომ საზავო დელეგაციაში არავინ შედიოდეს გერმანიის ძველი მთავრობისაგან და ამ წინადადებაზედ გერმანიის ახალმა მთავრობამ, რომელიც დიდი მსურველია ზავისა, სრული თანხმობა განაცხადა.

მე ღრმადა მწამს ბრძანა ბ-მა პროფესორმა, რომ თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში დარჩება მონარქიული წყობილება—ეს, უთუდ, გერმანიაში იქნება. ის ფაქტი, რომ ავსტრია გერმანიას ეთიშება ომის წარმოების საქმეში, გერმანიის მდგომარეობის საქმეს დიდათ არ შესცვლის, თუ მან ნეიტრალიტეტი დაიცვა და ოსმალეთმაც არ უღალატა.

ამ შემთხვევაში, ფრონტი მცირდება და გერმანიას საშუალება ეძლევა უფრო მიზან შეწონილად აწარმოოს თავის ოპერაციები.

ოსმალეთში

ოსმალეთის პოზიცია, იმ ცნობებით, რომელიც ჩვენა გვაქვს, უცვლელია და [illegible] კავშირი, როგორც აქ სტამბოლის რადიო სადგურ „ოსმანიადან“ ჩვენ დღესაც მივიღეთ რადიო დეპეშები, რაც ნათელ ყოფს იმ გარემოებას, რომ ჩვენი საელჩო სტამბოლშია და მაშასადამე ოსმალეთის მთავრობასთან კავშირშიც.

ბათომის საკითხი

ჩვენ კერძო ცნობები გვაქვს, რომ ოსმალები სცლიან ბათომს. ეს ცნობები ოფიციალური არ არის და ამის შესახებ არც ოსმალთა მისიას არაფერი შეუტყობინებია და ამ ცნობის სიმართლეში ვერ დაგარწმუნებთ, მგონი მისი შესაძლებლობა მე მრწამს, რადგან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება გულისხმობს ამ ოლქის მცხოვრებთა თვითგამორკვევას, რომელიც შესაძლოა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ დაინტერესებული მხარეები გავლენას არ იქონიებენ.

საპარლამენტო ქრონიკა

გუშინ დანიშნული იყო პარლამენტის საგანგებო სხდომა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების მუხლობრივ განსახილველად.

რადგან 12 საათისთვის დარბაზში ქვორუმი არ აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ სხდომა გადასდო.

პარტიული ცხოვრება

მთავარი კომიტეტის კრება

დღეს ხაღამოს შვიდ საათზე დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება. აუცილებელია ყველა წევრთა დასწრება.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ვლ. ახმეტელაშვილის გამგზავრება ევროპაში.** ამ დღეებში გერმანიაში გაემგზავრა სოც.-დემ. ლიდერი ვლ. ახმეტელაშვილი გერმანიის სოციალ-დემოკრატებთან საგანგებო დავალებით. ახმეტელაშვილი გაემგზავრება ევროპის სხვა სახელმწიფოებში და თუ სოციალისტების საერთაშორისო კონფერენცია შესდგება ახმეტელაშვილი მას დაესწრება.

◆ **გაზ. „ბორბა“.** დღიდან გაზ. „ბორბა“-ს ირ. წერეთელი რედაქტორობს.

◆ **ქართული ენა იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებებში.** რადგანაც იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში საქმის წარმოება ქართულ ენაზე სწარმოებს იუსტიციის მინისტრმა განმარტა, რომ მისდამი ხელქვეით დაწესებულებებმა მიწერ მოწერა სამინისტროს კანცელარიასთან ქართულ ენაზე უნდა აწარმოონ.

რევიზია. დასრულდა თბილისის სისხლის სამართლის მილიციის რევიზია, რის შედეგიც იქნება 24 მილიცელის დათხოვნა. რევიზიამ დიდი უწესრიგობა აღმოაჩინა საქმის წარმოებაში. დაარსდა სისხლის სამართლის მილიციის ინსპექტორის თანამდებობა, რომელზედაც დაინიშნა პრიკურორის თანაშემწე ივანოვი.

◆ **სამინისტროების შორის მიწერ—მოწერა ქართულ ენაზე.** ღვინობისთვის 29 სამინისტროების დირექტორთა თათბირმა [illegible] მოწერა სამინისტროების შორის სახელმწიფო ენაზე აწარმოონ.

◆ **წითელგვარდიელები და რკინის გზის მოძრაობა.** გზათა სამინისტრომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ აეკრძალოს წითელგვარდიაში რკინისგზის მოსამსახურეთა ჩაწერა.

◆ **განსაკუთრებული ტარიფი რკინის გზებზე.** გზათა სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა საქართველოს სახაზინო რკინისგზებზე განსაკუთრებულ ტარიფის გაუქმების შესახებ.

◆ **საპატიო მსაჯულთა შესახებ.** იუსტიციის მინისტრმა განუმარტა ქალაქის თავს და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, რომ საუბნო და საპატიო მსაჯულებად აირჩევიან მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომნი და ქართულის მცოდნენი.

◆ **ქართული ენის კურსები.** გზათა სამინისტროსთან განზრახულია ქართულ ენის კურსების დაარსება.

◆ **ქართული ლატარია.** ქ. ქუთაისში უკვე დაიწყო ქართულ ლატარიის ბილეთების გაყიდვა. ქალაქის გარდა სოფელშიც საკმაოდ ვრცელდება.

◆ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გორიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „გორელი სომხები, ღრმა გაკვირვებას გამოსთქვამთ, რომ სომხეთის მთავრობამ საქართველოსთან საზღვრების საკითხის გადაჭრა იარაღით განიზრახა, მაშინ როცა ევროპის ხალხი სადაო საკითხების გადაჭრას მშვიდობიანად სცდილობს. გთხოვთ ძმათა შორის სისხლის ღვრას ხელი შეუშალოთ“. დეპეშაზე ხელს აწერს 170 კაცი.

◆ **ხოლერა.** ღვინ. 31 ქალაქის სავათმყოფოში გარდაიცვალა 2. ხოლერიანი კიდევ ითვლება 36.

◆ **პარლამენტის რუსი წევრნი.** რუსთა ეროვნულ საბჭომ განიხილა საქართველოს პარლამენტში თავის წარმომადგენელთა საკითხი და პროტესტი გამოუცხადა პარლამენტს.

◆ **კავკასიის სინოდალური კანტორა.** რუსთა ეროვნულ საბჭომ დაადგინა: რაკი საქართველოს მთავრობამ უარი შეუთვალა კვლავ შუამდგომ[illegible] ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობათა [illegible] სინოდალურ კანტორას დახმარება აღმოუჩინონ და ეს უწმინდეს პატრიარქს ხარჯში ჩაუთვალონ.

◆ **სასამართლოების ნაციონალიზაცია.** იუსტიციის მინისტრმა ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ღვინობისთვის 30 საქართველოს ყველა სამოსამართლო დაწესებულებებს, რათა ყველა ქაღალდებს ქართულ ენაზე იღებდნენ. მიიღონ ზომები, რომ 1919 წლის 1 იანვრიდან სამოქალაქო

სიტყვა თქმული მიხაკო წერეთლის მიერ

ქართულ-გერმანულ საზოგადოების სალამოზე, რომელიც ბერლინის „ესპლანადის“ სასტუმროში გაიმართა 1918 წლის მაისის 27-ს საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად.

ბატონებო! მადლობას ვსწირავთ ქართველები გერმანულ-ქართულ საზოგადოების გერმანელ წევრთ, რომელნიც ისეთივე სიხარულით მიეგებენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავს, როგორც ჩვენ თვითონ, ქართველები. მართლაც, საბოლოო მიზანი ჩვენი საზოგადოებისა ხომ ხანგრძლივი და დაუბრკოლებელი მუშაობა იყო ქართველთა და გერმანელთა თავისუფალ საქართველოს მიწაზედ.

ჩვენი ოცნება დღეს განხორციელდა. რუსეთის ყოფილ იმპერიის ნანგრევებზე სხვა სახელმწიფოთა შორის აღმოცენდა კიდევ ერთი თავისუფალი სახელმწიფო, საქართველო, მაგრამ არავის ეგონოს, თითქოს საქართველოს ცხოვრებაში პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა ახალი რამ მოვლენა იყოს. საქართველოს ორიათასი წლის ისტორია აქვს პოლიტიკური ცხოვრებისა. ოცი საუკუნის განმავლობაში არსებობდა იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ხშირად ეჭირა მას საპატიო ადგილი აღმოსავლეთის თავისუფალ ერთა შორის. ხანანი უცხოთა ბატონობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივობის დათრგუნვისა ყოველთვის გარდამავალნი ეპიზოდნი იყვნენ მისი ისტორიისა. ასეთი ხანანი განვვლეთ ჩვენ სასანიდების სპარსეთსა და ბიზანტიის შორის ბრძოლის დროს, არაბთა, მონღოლთა და შემდეგ თურქთა და სპარსთა შემოსევის დროს, მაგრამ უცხო ბატონობის განმავლობაშიაც საქართველოს არასოდეს არ დაუკარგავს პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეალი, და რაჟამს გადიგდებდა ქედიდგან უცხო უღელს, იგი კვლავ განაგრძობდა როგორც სახელმწიფოებრივი ერი თავის პოლიტიკურ ისტორიას.

რუსეთის ბატონობა საქართველოში 117 წლის განმავლობაში ერთი ამ გარდამავალი ეპიზოდთაგანი იყო მისის ისტორიისა და იმედია უკანასკნელი. და მსგავსად იმისა, როგორც საქართველოს ეკლესიამ, ავტოკეფალიით მოსალმა მე-8 საუკუნიდან და 1811 წელში დატყვევებულმა უკანონოთ და ძალადობით რუსის სინოდის მიერ, აღიდგინა დამოუკიდებლობა 1917 წელს და მისი უფროსი დღეს არც ერთი პატრიარქის უფროსობას არა სცნობს,—მსგავსად ამისა აღსდგა საქართველოს სახელმწიფო, რომელიც 1801—1861 წლებში რუსეთის მიერ იყო დათრგუნვილი არა პირდაპირი ომითა და დაპყრობით, არამედ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევით, და გამოაცხადა რა დამოუკიდებლობა ოფიციალურად 26 მაისს 1918 წელს, იგი არა სცნობს ერც ერთი სახელმწიფოს სუვერენობას გარდა თავისის საკუთარის სუვერენობისა.

ბევრი მტერი გაუჩნდა მყისვე ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოს. რევოლუციის წინად თვითმპყრობელ რუსის მთავრობისაგან სამართალს ვის მოვსთხოვდით. რევოლუცია, რომელშიაც ქართველები დიდ მონაწილეობას იღებდენ დღიდან რევოლუციონური მოძრაობის დაწყებისა რუსეთში, კერენსკის პირით ცეცხლითა და მახვილით გვემუქრებოდა, თუ გავბედავდით და ჩვენ ეროვნულ უფლებათა აღდგენაზე ვიფიქრებდით. ბოლშევიკები არა სცნობენ ჩვენს უფლებებს სოციალიზმის სახელით, რადგანაც ჩვენ დამოუკიდებლად ვმოქმედებთ და არა ვსცანით მათი რევოლუცია,—არა სცნობენ მიუხედავად იმისა, რომ თვით მათ დიდის ამბით გამოაცხადეს პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა. აგრეთვე სამართლის კაზუისტიკაც ყოველ ღონისძიებას იხმარს დაამტკიცოს, რომ მოტყუება, ხელშეკრულებათა დარღვევა და მოულოდნელი ოკუპაცია რომელიმე ქვეყნისა არ არიან საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო საქმენი, რადგანაც ეს ასის წლის წინად მოხდა და... ასის წლის განმავლობაში იყო ერთი უფლება-ახდილი! მაგრამ დღეს სხვა საერთაშორისო სამართლის მცნებაზედ ვემყარებით, რომელიც სრულიად ნათელია და ორაზროვნებას მოკლებული: ყველა ერს, რომელიც თავის ტერიტორიაზედ საკუთარ სუვერენობას შექმნის აქამომდე არსებულ სუვერენობის ნაცვლად, სრული უფლება აქვს საერთაშორისო განწყობილებანი დაიჭიროს სხვა სახელმწიფოებთან და მოსთხოვოს მათ მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღსარება და სახელმწიფოებსაც უფლება აქვსთ აღიარონ იგი იმ სახელმწიფოს დაუკითხავად, რომელსაც ამ ახლად შექმნილ სახელმწიფოში ძველადა ჰქონია სუვერენობა.

ამ პრინციპის წინააღმდეგ სამართლის კაზუისტიკა უძლურია. მხოლოდ მაზედ უძლიერეს ფაქტორს შეუძლია ამ შემთხვევაში არა სცნოს ჩვენი არსებობის უფლება—პოლიტიკას! მაგრამ პოლიტიკაც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება, თუ მან არა სცნო უფლება ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისა.—რუსეთის ბატონობა საქართველოში მოისპო. რუსის ჯარები და მოხელეები აღარ არიან ჩვენში, მთელი სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის აპარატი რუსეთისა მოისპო, რუსებმა დასტოვეს კავკასია და ნაცვლად ამისა არსებობს სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა საქართველოს სახელმწიფოსი და ნუთუ ამ ახალ სახელმწიფო ორგანიზაციას მოსპობენ და კვლავ რუსებს მოიხმობენ ჩვენში, როდესაც რუსებს თვით თავიანთ ქვეყანაშიაც ვერ დაუმყარებიათ წესიერება? ან იქნება ახალი უცხო უღელი უნდათ დაგვადგან ქედზედ? მე არა მგონია, რომ პოლიტიკას ესა სურდეს საქართველოსათვის, მაგრამ ვიცი კი რომ ზოგიერთს პოლიტიკოსს კავკასიის ქვეყანათა შეერთებით უნდათ გააძლიერონ თავიანთი სამშობლო, მაგრამ სიკეთე არ მოელის მათ სამშობლოს უცხო ქვეყანათა შემოერთებით, რადგანაც შემოქმედებითი ძალა ერისა ჰქმნის მის დიდებასა და არა სხვისი საკუთრების მითვისება, და იმ ერს, რომელსაც არა აქვს ნიჭი შემოქმედებისა და წინსვლისა, თვით მთელი ქვეყნის დაპყრობაც ვერ იხსნის სიკვდილისაგან.

ხოლო მიუხედავად იმისა რომ რუსის სოციალიზმი და სამართლის კაზუისტიკა არა სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყოვლად ძლიერმა პოლიტიკამ და სამხედრო ძალამ კვლავ დაგვადგას მძიმე უღელი უცხო მონობისა, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ სრული ზნეობრივი და აგრეთვე ფორმალური უფლება გვქონდა რუსეთს მოვსცილებოდით და სხვა სახელმწიფოებისაგან მოგვეთხოვა აღსარება ჩვენის პოლიტიკურის დამოუკიდებლობისა. Eppur si muove! (მაინც ბრუნავს!)

მაგრამ საბედნიეროდ მეგობრებიც გვყავს, უფრო ჰკვიანი და ზნეობრივად მაღლა მდგომნი, ვიდრე მტერნი ჩვენნი. ეს მეგობრები გვყავს გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ბულგარიაში და სხვაგან. ინტერესთა ერთობა ჩვენსა და ჩვენს მეგობართა შორის დიდია და ამიტომ გვაქვს იმედი, რომ საქართველო მათის შეწევნით უზრუნველჰყოფს თავის დამოუკიდებლობასა და ამასთანავე გახდება ცენტრალურ სახელმწიფოთა ღირსეულ თანამშრომლად იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რომელიც ცენტრალურ სახელმწიფოთა ერებს ექნებათ საქართველოში, კავკასიაში და მათგან დაშორებულ იმ ქვეყნებში, საითკენაც გზა საქართველოზე სძევს.

იქნება ბევრს ეგონოს, რომ საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, რადგანაც მიწა მისი პატარაა და ერი მცირე. მით უმეტეს შეიძლება დაებადოს ვინმეს ასეთი აზრი, რომ უკანასკნელ ცნობათა მიხედვით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, საქართველოზედ გაცილებით უფრო დიდი და მრავალ-ეროსანი ქვეყანა, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილია საქართველო, უკვე დაინგრა და აღარ არსებობს მისი 22 აპრილს 1918 წ. ოფიციალურად გამოცხადებული დამოუკიდებელი მთავრობა.

მოკლედ გავსცემთ პასუხს ამ კითხვაზედ.—საქართველო არც ისე პატარა ქვეყანაა, როგორც ბევრსა ჰგონია. ბევრი ვიცით ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საქართველოზედ კიდევ უფრო პატარაა. საქართველოს მიწა-წყალი უდრის დაახლოვებით ბულგარიის მიწა-წყალს და ხეობანი რიონისა, მტკვრის სათავეებისა და შუაგულისა, ჭოროხისა, შემდეგ ალაზნისა ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აფხაზეთი ჩრდილო დასავლეთით, რაიცა შეადგენს საქართველოს, მთელს წინა აზიაში უმდიდრესი ქვეყნებია და ათი მილიონის გამოკვება შეუძლია, თუ კი მიწის მეურნეობა რაციონალურ საფუძველზედ იქმნა ჩვენში დამკვიდრებული. ამ ტერიტორიაზედა სცხოვრობს ახლა 3000000-მდის ხალხი, და ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა და უკეთეს ჰიგიენურ პირობათა შექმნის შემდეგ შეიძლება საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი 30—40 წლის განმავლობაში გაორკეცდეს.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას, უწინარეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ნაყოფი იყო ქართულის პოლიტიკურის აზრისა. თვით იდეა რასაკვირველია კეთილშობილი იყო, მაგრამ ნაადრევი; და აგრეთვე თვით მეთოდები ამ იდეის განხორციელებისა იყო შემცდარი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაირღვა, რადგანაც ის ელემენტები, რომლისგანაც იგი შესდგებოდა, სულ სხვადასხვა, ურთიერთისათვის უცხო კულტურულ სფეროებს ეკუთვნიან, და როგორც მე ხშირად წინასწარ მითქვამს, შეუძლებელი იყო ამ მრავალფეროვან ელემენტთა ერთობაშად შეკრება და ერთსა და იმავე ნორმათა ქვეშე მოქცევა. ჩვენმა ქართველმა პოლიტიკოსებმა უკუღმა დაიწყეს საქმე. ჯერ თვითეულ ამ ელემენტთაგანს—ქართველებს, სომხებს, თათრებს,—უნდა ჩაეყარა საძირკველი საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებისათვის—უნდა შემოეხაზა საბოლოოდ საზღვრები სა_

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სისხლის სამართლის საქმეები ქართულად ირჩეოდეს.

◆ **ფეხსაცმელის ტყავის გაიაფება.** უკანასკნელ ხანს ფეხსაცმელის ზედაპირის ტყავი საგრძნობლად გაიაფდა. მაგალითად „შევრო“ გირვანქა 150 მანეთის მაგივრად 50 მანეთად იყიდება.

◆ **ღვინო.** კახეთში ღვინის მოსავალი საშუალოა. გლეხები ღვინოს ნაკლებად ჰყიდიან. ვედრო 50—60 მანეთად იყიდება. განჯის ღვინო უფრო ძვირია, ვედრო 62—65 მანეთად ფასობს.

◆ **ცხენოსან ბატარეის დათვალიერება.** საქართველოს ლაშქრის მთავარ-სარდალმა გენ. გედევანიშვილმა სამხედრო სამინისტროს მრჩევლის გრაფ ვოლსკეს და ცხენოსან ბრიგადის უფროსის გენ. ერისთავის თანხლებით, დაათვალიერა ცხენოსანთა ბატარეა ს. მუხრავანში. მთავარ-სარსარდალი კმაყოფილი დარჩა და მადლობა გამოუცხადა ცხენოსანთა ბატარეის წინამძღოლს პოლკ. ცაგურიას და აფიცრებს.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ პარლამენტის ანგარიშში შემდეგი შეცდომებია: რ. გაბაშვილის სიტყვაში ნათქვამია: ეროვნული ყრილობის შემადგენლობის ნახევარი **მემარცხენენი** იყვნენ; უნდა იყოს: **მემარჯვენენი**.

სპ. კედიას სიტყვაში ქვევიდან მე-9 სტრიქონში სწერია **ესპანიაში**; უნდა იყოს **ახმანიაში**.

პროვინციის ცხოვრება

ს. ხვანი (საჩხერის რაიონი), მიწის გაყოფის გამო ამას წინად შავაძემ ვინტოვკის ტყვიით მოჰკლა თავისივე მეზობელი სინო მელაშვილი.

რაჭა. რაჭა-ლეჩხუმის რაზმის უფროსი გუბერნიის კომისარს აუწყებს, რომ თერგის ოსებმა ბოლო ხანებში რაჭაზე თავდასხმა გაახშირეს. სოფლებმა იარაღით დაცვა გადასწყვიტეს.

ს. მუხური. ზუგდიდის მაზრის სოფლებს მუხურს და ტალას ესხმიან სვანები. იტაცებენ ცხვრის ჯოგებს და სხვა მოძრავ ქონებას.

ივრის-ხეობა. ივრის-ხეობიდან მოსულ ცნობით, იქ საოცრად გავრცელებულა ახალ-ახალ ჯურის ავადმყოფობანი.

სამხედრო გზა. ბოლო ხანებში სამხედრო ფოსტის მიმოსვლა შეჩერდა. განუზრახიათ ფოსტა ავტომობილებით ჰზიდონ, ისიც მხოლოდ დუშეთამდე.

ბოლშევიკების მოწოდება გორის მაზრაში.

გორის მაზრაში ბოლშევიკებმა მოწოდება გაავრცელეს. ილაშქრებენ მთელი ქვეყნის ყველა მთავრობათა წინააღმდეგ. ვილსონი — ვილჰელმი სკოროპადსკის გვერდით ჟორდანიასაც იხსენიებენ დ ხალხის მტრად აცხადებენ. ხალხს მოუწოდებენ იყვნენ მუდმივი აჯანყებაში და თვის მტრებს სასიკვდილო მახვილი ჩასცენ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

ომი

დასავლეთის ასპარეზი

ბერლინი, 30 ღვ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ლისის დაბლობში, ლისის და შელდის შუა, ფამართან და ენგლფონტენთან მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ტურნეს განაპირა უბნებს და შელდის დაბლობის დაბებს ინგლისელები ესვრიან, რამაც მშვიდობიან მცხოვრებთა შორის მრავალი იმსხვერპლა.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი.

დილით ადრე მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა უაზის არხზე. საფრანგეთის ჯარმა ნიზი-ლე-კონტის და ენის შუა, არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემდეგ და მრავალი ტანკის დახმარებით იერიში განაახლა. უკანასკნელ ბრძოლებში გამოწვრთნილ გენერალ უბერხარდის და ფონ-ხელოვის ჯარმა, გუშინ მტრის ძლიერი იერიში მოიგერია. 18 კილომ. ასპარეზზე მათ სავსებით მოიგერიეს მოკავშირეთა იერიშები და გაიმარჯვეს. სერტის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით დროებით დაცლილი პოზიციები, კონტრიერიშით ისევ დაიბრუნა ჩვენმა ჯარმა. საღამოთი მტერმა განაახლა იერიში, რომელიც ჩვენმა ჯარმა მოიგერია. ფრანგებს გუშინ დიდი ზარალი მივაყენეთ. გაუნადგურეთ მრავალი ტანკი ვუზიერის ორივე მხარეზე და მდ. ენის აღმოსავლეთით დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენ ჩამოვაგდეთ 27 ჰაეროპლანი და 6 ბალონი. ლეიტენანტ დორმა უკანასკნელ დღეებში 34-ჯერ გაიმარჯვა ჰაერში. ლეიტენანტ ორილემგიელმა—30-ჯერ.

იტალიის ასპარეზი.

ვენა. 30 ღვინ. სამხედრო ცნობა. ტირესბოლის ასპარეზზე უმნიშვნელო ბრძოლაა. ტრენტის და პიავის შუა მტრის ძლიერმა ძალამ იერიში მოიტანა აზოლონის და მონტე-პეტრიკის წინააღმდეგ. ჩვენი ჯარის სიმამაცემ უნაყოფოდ ჩაუტარა მტერს ცდა. ვენეციის ველში ინგლისელები და იტალიელნი წინ მიიწევენ. მონტელოს ჩრდილოეთით და სამხრეთით მათ შესძლეს პოზიციების გაფართოვება და წინ წაწევა. თანახმათ ჩვენი გარდაწყვეტილებისა ბოლო მოუღოთ ხალხთა შორის ბრძოლას და დროებითი ზავი ჩამოვაგდოთ. ჩვენი ჯარი იტალიის საზღვარზე დაჭერილ ადგილებს სცლის.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ასპარეზი.

სერბიაში აღმოსავლეთის ფლანგზე მომქმედი ჩვენი სამხედრო ძალა გადავიდა დუნაის ჩრეულოეთ ნაპირზე სუავესთან და დრინესთან უკან დახევა წესიერათ მიმდინარეობს. მტერი ჩვენ არსად გვავიწროვებს. ალბანეთში მომქმედ ჩვენ სამხედრო ძალას რამოდენიმეჯერ შეხვდა შეტაკება ბრბოსთან.

აღმოსამლეთის ასპარეზი.

სტამბოლი. 30 ღვ. ასპარეზზე აღსანიშნავი ბრძოლა არ მომხდარა.

ბერლინი. 30 ღვ. საღამოს სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზზე აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

გერმანიის რადიოს ცნობა. 29 ღვ. სხვა და სხვა გაზეთები ისევ იუწყებიან, რომ ესპანურ მაროკოში ანარქიაა და რაიზული მეფობს იქ როგორც განუსაზღვრელ უფლებიანი დიქტატორი. „ტაიმსის“ კორესპონდენტი უკვე დიდი ხანია ცდილობს, უთანხმოება ჩამოაგდოს ისპანიისა და გერმანიის შორის. შეთხზული ცნობებით, ვითომც ესპანიის მაროკოში ანარქია გერმანელების მიერ არის მოწყობილი და რაიზულის დიქტატორად აღიარებით. კორესპონდენტი სცდილობს, აამხედროს ჩვენს წინააღმდეგ ისპანიის საზოგადოებრივი აზრი. ნამდვილად კი ესპანიის გენერალ-პრეზიდენტმა, მას შემდგ, რაც საქმის ნამდვილ მდგომარეობას გაეცნო, საჭიროდ დაინახა, რაზიულის მოწვევა და რითაც ესპანიის მაროკოში ჰსურდა აღედგინა წესიერება და სიმშვიდე. განსხვავება, რომელიც არსებობს ისპანიის და საფრანგეთის მაროკოს შორის. „ტაიმსის“ კორესპონდენტისთვის ის საფუძველია, რომ ესპანიის წინააღმდეგ ჭორები ავრცელოს.

ავსტრია-ჰუნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტ. ანდრაში დროებით ზავზე.

ვენა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშმა სტატს-სეკრეტარს შემდეგი დეპეშით მიჰმართა: როგორც კი ავიღე ხელში საგარეო საქმეთა მართვა-გამგეობა 18 ღვ. ნოტაზე ოფიციალური პასუხი გამოვგზავნე, საიდანაც თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენ ვღებულობთ იმ ძირითად დებულებებს, რომელიც შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა სხვა და სხვა დეკლარაციებში გამოაქვეყნა. სრულიად ვეთანხმებით რა ვილსონის ცდას ხალხთა ლიგის დაარსებაში და გვწამს რა, რომ მხოლოდ მას შეუძლია ავვაცდინოს ომი მომავალში, ჩვენ უკვე გადავდგით საჭირო ნაბიჯი, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის ხალხს შეუძლია მიეცეს უფლება თავისი ბომავალი საკუთარ სურვილების თანახმად გადასჭრას. მას შემდეგ, რაც ტახტზე ავიდა იმპერ. კარლოსი, ომის გეთავების სურვილი დაიბადა. მეტად ვიდრე წარსულში. იმპერატორსა და ხალხს სურთ, რომ მომავალში სიმშვიდე და ბედნიერება დამყარდეს. სტატს-სეკრეტარი, მოგმართავთ თხოვნით გვიშუამდგომლოთ პრეზიდენტის წინაშე, რომ ჰუმანიზმის და ავსტრია-ჰუნგრეთის ხალხთა სასარგებლო დროებით ზავი ჩამოაგდოს ყველა ასპარეზზე და საზავო მოლაპარაკება დაიწყოს. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამ იმავე დროს აცნობა ნოტის შინაარსი საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის და იტალიის მთავრობათ და სთხოვა თითონაც მიიღოს ეს პირობები და ვილსონის წინაშეც მხარი დაუჭირონ მას.

ბოჰემია

აუსიგში ბოჰემიის სახალხო საბჭოს კრებაზე განაცხადეს სურვილი გერმანელთა ბოჰემია გერმანიის იმპერიას შეუერთდეს.

ანდრაში და გერმანეთის ეროვნული პარტიები

გერმანიის ეროვნულმა პარტიებმა გუშინწინდელ სხდომაზე აღშფოთება გამოსთქვეს ანდრაშის ვილსონისადმი საპასუხო ნოტის კილოს გამო რადგან ის წინასწარ არ შეუთანხმდა არც გერმანიის მთავრობას და არც გერმანიის აღმასრულებელ კომიტეტს. გერმანიის ნაციონალური პარტიები გერმანიის სახალხო კომიტეტში მომავალში მოითხოვენ, რომ გერმანიის ავსტრიას თვითგამორკვევის უფლება ექნეს და ცხოვრებაში გერმანიის იმპერიასთან შეთანხმება გატარდეს.

ანდრაშის საპასუხო ნოტა განიხილეს ამორჩეულ დეპუტატთა პალატაში. გერმანიის საზოგადოებაში ნოტამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საზოგადოება ნოტას დაჩქარებულად სთვლის, რადგან უკანასკნელ დღეებში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ გერმანიასთან შეთანხმებით მუშაობა უკანასკნელ დრომდე შესაძლებელი იყო.

ავსტრია-ჰუნგრეთის პასუხი

ლონდონი. 29 ღვინ. საგარეო სამინისტრომ მიიღო ავსტრია-ჰუნგრეთის პასუხი ვილსონის ნოტაზე.

ფიუმე

ბუდაპეშტი. 29 ღვინ. ჰუნგრეთის მთავრობის განკარგულებით ფიუმე კროატებს გადასცეს. ქალაქის საბჭო დათხოვნილია. ყველა სამმართველოში შეჩერებულია მოქმედება. ფიუმეს ბედს საზავო კონფერენცია გადასწყვეტს.

პრაგა. 29 ღვინ. ჩეხის ნაციონალურ კომიტეტმა დაადგინა: ამიერიდან ყველა არსებული კანონი, ბრძანება, მართვა-გამგეობა და სამართველონი უნდა დაექვემდებაროს ჩეხის ნაციონალურ საბჭოს.

თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირი.

გერმანიის რადიოს ცნობა. 28 ღვ. „თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირმა“ ხალხთა ლიგისთვის შაბათს, ორი მრავალ მრიცხოვანი კრება გამართა, სადაც საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დოქტორ დერნბურგმა ხალხთა ლიგის იდეის წარმოშობის ისტორია განმარტა და აღნიშნა, რომ ეს იდეა კლასიკურ ფორმით იყო დაწერილი და ახსნილი ემანუილ კანტის მიერ. დერნბურგმა განაცხადა, რომ ვილსონის მიერ წამოყენებული 14 მუხლი სავსებით ანხორციელებს იმ მოთხოვნილებათ, რომელიც კანტმა წამოაყენა თავის სხვა და სხვა ნაწარმოებში. ხალხთა კავშირის არსებობისთვის აუცილებელია მოისპოს ის უთანხმოება, რომელთაც ახლა ადგილი აქვს ევროპაში და განსაკუთრებით მონობის ქვეშ მყოფ ადგილებში. უპირველესად მომავალი ზავი უნდა იყვეს სამართლიანობაზე დამყარებული და ისეთი, რომელიც დიდ სახელმწიფოებს არ წარუდგენს ისეთ მოთხოვნილებებს რომელიც შებღალავს მათ არსებას და გრძნობას. თუ კი ხალხთა კავშირი მხოლოდ იმის საშუალებაა, რომ გერმანია ომის დასასრულზე დააუძლუროს და საუკუნოთ განმტკიცდეს ის პირობები, რომელსაც წარუდგენს გერმანიას როგორც დამარცხებულებს, იმ შემთხვევაში ასეთი ხალხთა კავშირი არ იქნება მტკიცე. გერმანიის დიადი ერი არავის შეუძლია დაბრმავებულ სამსონივით აბუჩად აიგდოს. რეიხსტაგის უმრავლესობის პარტია სავსებით იზიარებს ხალხთა ლიგის საფუძველს და ჰსურს მისი გამტკიცება, რადგან ხალხთა ლიგა ერთათ ერთი საშუალებაა რომლითაც შეიძლება მტკიცე ზავის დამყარება. მოხსენების შემდეგ რეიხსტაგას უმრავლესობის პარტიათა წარმომადგენელი გამოვიდნენ განმარტებით და მოიწონეს ხალხთა კავშირის იდეა. ასეთ განმარტებით გამოვიდა ს.-დ. ლეგიენი, ცენტრის წევრი ბარონი კონ-რუსენბერგი და ნაციონალისტი ბარონი ფონ-რისტჰერი. ამის შემდეგ ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირი“ რომელსაც მიემხრო 4 მილიონ. მეტი ეკონომიურათ შეკავშირებული მუშა და მოხელე, ახალი გერმანიის კულტურულ სახელმწიფოთა რიგში შესვლის გზას ხედავს ხალხთა ლიგის შექმნაში. როგორც ეს ეს აღიარა სახელმწიფოს სამართველომ და რეიხსტაგის უმრავლესობამ ვილსონის წინააღმდეგობათა სრული თანხმობით აუცილებელია შემდეგი: ყველა ხალხის სწორუფლებიანობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა—სამედიატორო სასამართლოს საშუალებით, ზღვათა თავისუფლების პრინციპის გატარება ცხოვრებაში, შეთანხმება დროებით და სამუდამო განიარაღებაზე, მიმოსვლის თავისუფლების გარანტია და მუშათა ინტერნაციონალურ უფლებათა შემუშავება. გერმანიამ ამ კულტურულ მუშაობაში დანარჩენ ხალხთან ერთად თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს. ამას მით უფრო ადვილად მივაღწევთ, რამდენათ საზოგადოებრივ ძალთაგან სახალხო მთავრობა, ხალხის ნდობით აღჭურვილ იქნება, კონსტიტუციაში ნათლად გაატარებს და უზრუნველჰყოფს პოლიტიკურ თავისუფლებას და სოციალურ პროგრესს. ამგვარ ხალხთა კავშირს მტკიცე საფუძველი ექნება. სრული დარწმუნებული გერმანიის ხალხის სიძლიერეში, როგორც ბრძოლის ველზე, ისე შიგნით, „თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირი“ მხარს უჭერს, სახალხო მთავრობას და სახალხო წარმომადგენლობას, რომელიც ესწრაფვის ასეთ ზავს და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს სამართლიან ზავის მიღწევას და ხალხთა ლიგის დამყარების საქმეში“. შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია სადაც სახალხო მთავრობას ნდობას უცხადებენ და ნათქვამია: „სახალხო კავშირი მოითხოვს, რომ მთავრობა გადალახავს ყველა დაბრკოლებას, რომელიც მათი მიზნების განხორციელებას ელობება“.

ტრანსოკეანის პრესის თანამშრომელი ასპარეზიდან იუწყება: 25 ღვინობისთვეს დილით მტერმა, ორი საათის ძლიერი ცეცხლის შემდეგ, დიდძალი ქვეითი ჯარი და ტანკებით უაზის და სურის სექტორში, გერმანიის ჯარის წინააღმდეგ იერიში მოიტანა. აღმოსავლეთ პრუსიის მსუბუქი და მძიმე ტყვიისმფრქვეველთა რაზმებმა მტერი ახლო მოუშვეს და შემდეგ უეცარი მტრის 8 ტანკი გაანადგურეს. ტანკები ჯავშიან ტყვიებმა გახვრიტა და შიგმჯდომი ჯარისკაცებს დაიხოცა. მეორე ადგილას იერიში მოიტანა 12 ჯავშნიანმა ავტომობილმა. ამათ რიცხვიდან 10 გავანადგურეთ. შტეინბრუსთან, ვილერ-ლა-კარტოს ჩრდილოეთით, ფრანგების იერიში ახლოს მოუშვით და შემდეგ ყველა მოწინააღმდეგე დავხოცეთ მძიმე და მსუბუქი ტყვიისმფრქვეველის ცეცხლით.

„ნიუ-კურანტის“ სამხედრო კორესპონდენტი დობი 23 ღვ. №-ში სწერს: ჩემის აზრით, ამ უკანასკნელ დღეებში მოკავშირეთა წინსვლა საგრძნობლად შეჩერდა. რა თქმა უნდა, მოკავშირეთა პრესა ბევრს სწერს ბელგიაში გამარჯვების შესახებ. მაგრამ ფაქტიურად მოკავშირეთა წინსვლა ახლა ისე ჩქარი აღარაა. ამის მიზეზია დიდი წვიმები, რომელმაც გზა გააფუჭა და გერმანელებს შეუძლიათ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევა, რადგან მოკავშირეები ველარ ახერხებენ ზარბაზნების გადატან-გადმოტანას. მოდიდებული მდინარეები გერმანელებს შეძლებას აძლევენ ჯარი დაიცვან ტანკებისაგან და ხელშეუშლელად ჯარის გადაჯგუფება მოახდინონ. როგორც სჩანს, გერმანიის ჯარმა სძლია კრიზისი და გრძნობენ, რომ მედგარი წინააღმდეგობის გაწევა სასურველ შედეგს მოიტანს. ჯერ კიდევ ჩემს უკანასკნელ ცნობაში მე აღვნიშნე, რომ გერმანელთა გადაჯგუფება ბელგია-ჰოლანდიის საზღვარზე წესიერად სწარმოებს. ასპარეზზე მყოფი სხვა კორესპონდენტებიც აღნიშნავენ ამას.

ეროვნული ხელოვნება

დღევანდელ ქარტეხილის დროს სულ დავივიწყეთ ხელოვნება.

ჩვენში, სამწუხაროდ, მას არავინ არ უწევს მფარველობას.

რა არის ერის გრძნობის გამფაქიზებელი და სიხალისის მიმცემი თუ არა ხელოვნება?

და როცა მივაღწიეთ კიდეც ჩვენს უძლიერეს იდეალს—მოგვენიჭა ეროვნული თავისუფლება, გრძნობა-გონების მასაზრდოებელი წყარო ჩვენთვის მაინც დაგუბებული რჩება. საამისოდ დღემდის არა გაგვიკეთებია-რა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს და შემდგომ რევოლუციონური და სახელმწიფოებრივი ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევდენ ხელოვნებას.

აარსებდენ ფონდს და სახელმწიფო ხაზინა სპეციალურ კრედიტებსაც სხნიდა. მისთვის ასეთ მზრუნველობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და ხალხის ზნეობრივ აღზრდას ხელი შეუწყო. დღეს ყოველ ფრანგში თქვენ ნახავთ მხატვრულ ხელოვნების მხურვალე მოსარჩლეს.

რუსეთის რევოლუციასაც უჩანს საამისო ნიშნები. ბოლშევიკური მთავრობა, წრფელი თანაგრძნობით ეკიდება ხელოვნების აღორძინებას.

ჩვენ სახელმწიფოებრივ ამშენებლობითი მუშაობაში ხელოვნებისათვის ზრუნვა არ შედის.

ქართველი ინტელიგენციის ძალა უბრალოდ იხარჯება დრო მოჭმულ მარქსისტურ შაბლონების გადმოქართულებაზე. ეროვნული კულტურის განვითარებისათვის კი არავინ ფიქრობს.

მეტია ლაპარაკი თუ რა კოშმარულ მდგომარეობაში არიან ჩვენი პოეტები და როგორ გაურბიან თბილისს უსახსრობის გამო.

დღემდე ვიმედოვნებდით, რომ ეროვნულ კულტურის ცეცხლი მეტის აგზნებით აინთებოდა საქართველოში. დაბა-სოფლებში დღეს სისწრაფით ჰხსნიან სამკითხველოებს, გაყავენ ტელეფონ-ტელეგრაფ-ელექტრონი და ამისათვის ხარჯებს არ ერიდებიან.

და რას მიაწვდიან ხალხს ამით როცა ეროვნულ ცენტრში კულტურის გაჩაღებისთვის არავინ ზრუნავს?!.

საქართველოს პოლიტიკური აღორძინებისას ხელოვნების [illegible] და მოხდეს; ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ გადიდოს საკმაო თანხა სახელმწიფო ხაზინიდან.

უცხოეთის ამბები

გერმანეთი.

გერმანიის სამშობლოს პარტიის მოწოდება.

გერმანიის „სამშობლოს პარტიამ“ მოწოდება გამოუშო, რომელშიაც ნათქვამია: სრულის შეგნებით ვგრძნობთ, რომ გერმანიის წინაშე საშინელი პერსპექტივა იხსნება იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ იმ ზავს, რომლისკენაც ილტვიან მოკავშირენი, მაგრამ გვწამს ისიც, რომ ჩვენს ხალხში დაფარულია კიდევ დიდი ძალა და ენერგია. ამის გამო საიმპერიო კომიტეტი სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ რა წამს მთავრობა მიმართავს ეროვნული დაცვისათვის, გერმანიის ხალხი არსებობისა და სამშობლოს ხსნისათვის მისცემს ყველაფერს რაც კი შეუძლიან.

რუსეთი.

ქალები და ბავშვები მძევლებად.

მოსკოვიდან მოსული ცნობებით კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლ განსაკუთრებული ბიუროს განკარგულებით ატყვევებენ ცოლებს და ბავშვებს იმ აფიცრების, ბანკირების და კომერსანტებისას, რომელნიც ბოლშევიკებს გადაემალნენ. დატყვევებულთ ძალას ატანენ უჩვენონ გადამალულთა ბინადრობა და როცა უარს იღებენ, მძევლებს—ცოლებს და ბავშვებს—ხვრეტენ.

საალყო წესები რკინის გზებზე.

საბჭოს რუსეთის რკინის გზებზე ყველგან საალყო წესები გამოცხადდა. განკარგულება მოახდინეს ყველა ტელეგრაფის, ხიდების და დეპოების დარაჯების გაძლიერებული რაზმები ჰყარაულობდეს. ყველგან დაინიშნენ კომისრები განუსაზღვრელი უფლებებით.

გერმანიის ელჩი—სოც.-დემოკრატი.

„გოლოს კიევა“ იტყობინება, რომ ბარონ შუმის მაგიერ, რომელმაც ახალი თანამდებობა მიიღო, უკრაინაში გერმანიის ელჩად დაინიშნა რეიხსტაგის დეპუტატი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი—ზიუდეკუმი.

უკრაინა.

დამფუძნებელი კრების გახსნა.

ლვოვი. უკრაინის დამფუძნებელი კრება დიდის ზეიმით გაიხსნა.

დაესწრნენ კეთილშობილთა პალატის უკრაინელი წარმომადგენლები, ავსტრიის პარლამენტის ყველა დეპუტატები პრეზიდენტ-ვექილის პეტრუშევიჩის მეთაურობით, გალიციის სეიმის დეპუტატები და გალიცია-უკრაინის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელნი. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: უკრაინის პირველი ეროვნული საბჭო არის ეროვნული დამფუძნებელი კრება ავსტრია-ჰუნგრეთის მონარქიის უკრაინის ხალხის ნაწილისა ეტნოგრაფიული საზღვრების მიხედვით. უკრაინის საბჭოს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობა: უკრაინის ხალხის თვით-გამორკვევის გამოცხადება იმ მომენტში, როცა იგი საჭიროდ დაინახავს; გადაწყვეტა იმისა, თუ რომელ სახელმწიფოს შეუერთდება უკრაინელთა ოლქები. სამხედრო ზომების მიღება წარმომადგენლობის, კანონმდებლობისა და მმართველობის განსახორციელებლად, რათა ზემოაღნიშნული დადგენილებანი ცხოვრებაში გატარდეს. ეროვნული საბჭო შესდგება პალატის უკრაინელ წევრებისა, პარლამენტის და გალიციის სეიმის ყველა დეპუტატებისა და ყველა პოლიტიკური პარტიების სამ-სამი წარმომადგენლისაგან. ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარედ იქნება უკრაინის პარლამენტის კლუბის მუდმივი თავმჯდომარე, ხოლო მის არ ყოფნის დროს, მისგან დანიშნული პირი.

უკრაინის ეროვნული საბჭო.

უკრაინის [illegible] ლაზანში ატყობინებს, რომ შვეიცარიაში დაარსდა უკრაინის ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან წარმომადგენელნი უკრაინისა, გალიციისა და ბუკოვინისა. ეს საბჭო განყოფილებას აარსებს პარიზისა, რომსა და ამერიკაში. თავის მოქმედებას საბჭო საფუძვლად უდებს პრეზიდენტ ვილსონის პროგრამას და კიევის უკრაინის ეროვნულ საბჭოს კავშირის პროგრამას.

ინტელიგენტთა ახალშენები.

„მირის“ გადმოცემით მოსკოვში დაარსდა ინტელიგენტთა რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ ცალკე დამოუკიდებელი ახალშენები-კომუნები. ამ ორგანიზაციის იდეას უმთავრესად ხელს

კუთარის ტერიტორიისა, მისი უფლებანი აღსარებულ უნდა ყოფილიყვნენ მეზობელ ერთაგან, უნდა ამოერჩია საბოლოოდ მისი პოლიტიკური ორიენტაცია, გადაეწყვიტა საკუთარი პოლიტიკური ბედი, წესრიგი უნდა შეეტანა საკუთარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და როდესაც თითოეული ამ ელემენტთაგანი განვლიდა ამ პროცესს თვით ორგანიზაციისა და თვით აღშენებისას, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, საერთო ინტერესთა შეგნების შემდეგ, მათი კავშირი, ერთგვარი კონფედერაცია, რომლის უმთავრესი ორგანო საერთო პარლამენტი კი არ იქნებოდა, არამედ კონგრესი ამ ელემენტების წარმომადგენელთა, რომელიც გადასწყვეტდა მხოლოდ საერთო ამიერ-კავკასიის საკითხებს.

ამიერ-კავკასიის კონფედერაციის შექმნა მომავლის საქმეა, ჩვენ პოლიტიკოსებს კი იგი დღევანდელი საკითხი ეგონათ. აქ არის ძირი შეცდომისა. და მართლაც, ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის დაარსების ცოტა ხნის შემდეგ, როგორც კი შეიჭრა კავკასიაში გარედან ის ძალა, რომელიც იმავე კულტურულ სფეროს ეკუთვნის, როგორც აღმოსავლეთის ამიერ-კავკასია, ბუნებრივ ნათესაობის კანონის ძალით მყის შეერთდნენ მსგავსი კულტურული ელემენტები აღმოსავლეთი ამიერ-კავკასიისა და გარედან მოსული მხედრობისა, და დაინგრა ნაადრევი და ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური შენობა ამიერ-კავკასიისა. მხოლოდ აღსრულებული ფაქტის შემდეგ ცხად-იქმნა ის შეცდომა, რომელიც ჩაიდინეს ქართველმა და კავკასიის სხვა პოლიტიკოსებმა.

ხოლო ჯერ იმედი არ დაგვიკარგავს, ამიერ-კავკასიის ან კავკასიის სახელმწიფოს კვლავ აღდგენისა. ორი რამ არის მხოლოდ აუცილებელი საჭირო ამ ჩვენი საბოლოო მიზნის განსახორციელებლად: პირველი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა არ იქმნას დამონებული მეზობელ დიდ სახელმწიფოთაგან, და შემდეგ ის, რომ კავკასიის ერებმა ზემო-აღწერილი პროცესი განვლონ. ჯერ-ჯერობით საქართველომ დაიწყო ეს დიდი საქმე თვითგამორკვევისა, და თუ სხვა ერები კავკასიისა საქართველოს ძმურად და გულწრფელად დაუჭერენ მხარს, მაშინ საქართველო კვლავ ასრულებს თავის როლს კავკასიის ერთა პოლიტიკურ ხელმძღვანელისას და ასრულებს აგრეთვე იმ ისტორიულ დანიშნულებას, რომელიც მას საუკუნეთა განმავლობაში ეკისრა კავკასიის ცხოვრებაში.

დიდია მნიშვნელობა თავისუფალი საქართველოსი და თავისუფალი კავკასიისა, როგორც ჩვენ ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს და როგორც ძლიერ კარგად იციან შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსებმა, ეკონომისტებმა და უწინარეს ყოვლისა კავკასიის მცოდნეებმა. პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერი საქართველო ცენტრალურ სახელმწიფოთათვის ბურჯი იქმნებოდა მტერთა იმპერიალიზმისა და ეკონომიურ კონკურენციის წინააღმდეგ მათ ინტერესთა დასაცველად წინა აზიაში და მთელს აზიაშიც. კავკასიაზედ სძევს გზა, რომელიც ცენტრალ სახელმწიფოებს შეაერთებს თურქესტანთან, შეიძლება აგრეთვე დიდი რუსეთის სამხრეთ ნაწილთან, ციმბირთან, ინდოეთთან და ჩინეთთანაც. ეკონომიური კავშირი და პოლიტიკური მეგობრობა კავკასიასთან შეძლებას მისცემს ცენტრალ სახელმწიფოებს ისარგებლოს არა მარტო კავკასიის აუარებელი სიმდიდრით, არამედ აგრეთვე სიმ შორეულ ქვეყანათა სიმდიდრითაც აითქენაც გზა კავკასიაზედ სძევს.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვანელობენ აგრონომები, რომელთაც სურთ შექმნან საჩვენებლად კოლექტიური მეურნეობა.

ბოლშევიკური სკოლების „ბოიკოტი“.

სმოლენსკის მშობელთა კომიტეტმა ყრილობაზე დაადგინა თავიანთ შვილებს სკოლებში სიარული აუკრძალოს. ამის მიზეზი ისაა, რომ მშობელთა რწმენით ბოლშევიკური მიმართულება და მათი დეკრეტები რყვნიან და ხრწნიან მოწაფეებს.

ბავშვების სიკვდილის გახშირება რუსეთში.

ველიკოროსიაში ბავშვების სიკვდილი საშინლად გახშირდა. მარტო პეტროგრადში მხოლოდ მკათათვის განმავლობაში 4734 სასკოლო ჰასაკის ბავშვი მოკვდა. საერთო რიცხვი დახოცილ ბავშვთა 60.000 უდრის. უმთავრესად იხოცებიან საშუალო ინტელიგენტთა შვილები.

მეცნიერთა ხარისხების მოსპობა.

სოვნარკომის დეკრეტით მოსპობილ იქნა მეცნიერების ყველა ხარისხები პროფესორებისა, მაგისტრისა და დოქტორისა.

მოგზაურობა შავ ზღვაზე

რუსთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელმა ფოთიდან საბჭოს შეატყობინა, რომ ნოვოროსიისკის, ტუაპსეს და სოხუმის ნავთსადგურებში რუს ლტოლვილებს თავისუფლად შეუძლიათ გავლა; არავითარი ჩხრეკა და დაპატიმრება არ მომხდარა. სამშაბათობით და შაბათობით ნოვოროსიისკის გემები მოდის.

ბილეთი 119 მ. და 60 კაპ. ჰღირს. ტვირთის გადაზიდვა ფუთი 20 მან. ეხლახან ფოთიდან გავიდა რუსთა ეროვნულ საბჭოს მიერ დაქირავებული გემი „რუს“, რომლის ბილეთიც 141 მან. ღირდა, ტვირთი ფუთი 10 მან., ბავშვები უბილეთოთ მიჰყავდათ 9 წლისამდე. გემზე 400 ფასიანი მგზავრი იყო, 100 უფასო. ნოვოროსიისკიდან გემი მშვიდობიანად დაბრუნდა. რუსეთში მიმავლებს ფოთში 2—3 დღე უხდებათ დარჩენა ცის ქვეშ რადგან თავშესაფარი გერმანულ ჯარს უჭირავს. მოწყობილია რუსთა ეროვნულ საბჭოს კარავები, მაგრამ ყველას ვერა ჰხვდება. 300—350 კაცისთვის სულ 22 კარავია.

კავკასიის რივიერა.

კავკასიის რივიერად ითვლება შავი ზღვის სანაპირო ანაპიდან ტრაპიზონამდე. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ადგილები რომელიც უვარგისია კურორტებისთვის და ტროპიკულ მცენარეულობისათვის, ნაკლებად ვარგისი და ხელსაყრელი ადგილებია.

პირველს ეკუთვნის სამეგრელოს ჭაობიანი ნაპირი, ე. ი. სუფსის და ოკუმის შესართავების შუა; მეორეს ლაზისტონის ნაპირი, როგორც ნაკლებ კულტუროსანი და უგზო-უკვალი ადგილი, აგრეთვე ანაპიდან პსეზუამდე (ლოზარევსკოე) მოყოლებული ნაპირი—აქ მუდმივად მქროლავ ბორიოს (ჩრდილო-აღმოსავლეთის ავი ქარი) გამო. ამნაირად, „ნამდვილ რივიერად“ ითვლება შავი ზღვის ნაპირი ოჩემჩირიდან სოჭამდე, ე. ი. აფხაზეთის და საზღვაო ჩერქეზეთის ნაპირები. რასაკვირველია აქ შევა გურიის მთელი ნაპირიც, ჭოროხის შესართავიდან სუფსის შესართავამდე. ცნობილ კურორტებად დღემდე ითვლებოდა: ბათუმი, ქობულეთი, სოხუმი, გაგრა, სოჭი, მოწამეთა და ანაპა. რასაკვირველია, ეს ულამაზესი კუთხე რომ შვეიცარიელებს ან ინგლისელებს კუთვნებოდათ, აქ იქნებოდა ლამაზი გზები, კურორტები, საგრილოები, სასტუმრო, ცნობათა ბიურო. ათასი ავათმყოფი და ცნობის მოყვარე ტურისტი დასტკბებოდა ბუნების ნათელ სილამაზით. ღმერთს უხვად დაუჯილდოვებია ეს მხარე მცენარეულობით, ჰავით, მადნებით, მინერალურ წყაროებით და ნოყიერ ნიადაგით. საჭიროა აქ გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო სკოლები, გამოსაცდელ პლატანციებით, მოიწვიონ მცოდნე ინსტრუქტორები, გააკეთონ ბოტანიური ბაღები და სხ. ომამდე აქ კიდევ რამე კეთდებოდა. მისთვის მუშაობდნენ კავკასიის საკურორტო საზოგადოება, კერძო პირები, როგორც აწ განსვენებული პროფ. კრასნოვი, რომელმაც დასტოვა მრავალი შრომა, პროექტი, თხზულება და გეგმები ამ მხარის გასამშვენიერებლად. აქ მძლავრად ჰსცემს ძლიერი გოგირდ-წყალბადის—მარილიანი—ნახშირბადის მაცესტინური წყაროები, რომელიც ამას წინედ იპოვეს, მაგრამ ეს იცოდნენ ძველმა რომაელ-ბიზონტიელებმა, რომელნიც სამკურნალოდ აქ მოდიოდნენ. აქვე მთიურ ჰავის სადგური „წითელი ველობი“—(კრასნაია პოლიანა) ბოტანიური ბაღები მრავლათაა ბათუმში, ჩაქვაში და სოხუმში, ჩაის პლანტაციებიც ცნობილია ჩაქვაში და ზედუბანში. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ეს მშვენიერი მაგრამ ველური მხარე მზრუნველის ხელს მოელის.

აქვეა ხელუხლებელი, უღრანი ტყეები, იშვიათი ხეების ჯიშით. სპეციალისტები ამბობენ, რომ აქ იგვავებს მცენარეულობა არა მარტო ფრანგულ, ესპანურ, ბერძნული ანუ ყირიმულ რივიერისა, არამედ ისეთ ქვეყნებისაც როგორიც არიან: იაპონია, ჩილი, ჩრდილო მექსიკა, ფლორიდა, ახალი ზელანდია, ტასმანია და სხ. მანდარინი, ჩაი, ლელწამი, ლოტოსი, მაგნოლია, ევკალიპტი, ბონანი, პალმა, ქოქოსი, ლიმონი, ფორთოხალი ზეთისხილი, ფრანგული, ქლიავი, ამერიკული კაკალი სხვა და სხვა ხილი, მწვანილი, თუთუნი—აი ის მცენარენი რომელნიც უსაცილოთ იგვავებენ ამ ლამაზ ადგილებში. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ საქართველოს მთავრობა იზრუნებს ასეთ მდიდარ და დიად კუთხის გასამშვენიერებლად და ასაღორძინებლად.

კორვინი-ვეიდნიცკი.

სამღვთო სჯულის სკოლებიდან განდევნის გამო

რელგია, როგორც დამოკიდებულება ადამიანისა ღმერთთან, უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენდა კაცისათვის განვითარების უმდაბლეს საფეხურიდან დაწყებული დღემდის. ასეთ კავშირში ღმერთთან ადამიანი ჰპოებდა ბედნიერებას, სულის სიმშვიდეს და ნეტარებას მაშინაც კი, როდესაც ქვეყანაზედ თითქმის აღარაფერი აკლდა მას. გადაავლეთ თვალი ისტორიას და ამას ცხადათ დაინახავთ. აი სწორედ ასეთ დამოკიდებულების გამომხატველი ადამიანისა ღმერთზე, მთელი თავისი ღრმა ეთიური აზრით არის ბიბლია, იგივე სამღთო სჯული,—ეს დაუშრეტელი წყარო ეთიკისა, პოეზიისა, მაჩვენებელი ადამიანის უმაღლესი დანიშნულებისა. ბიბლია საყვარელ წიგნად არის მიჩნეული ჩვენზე უფრო კულტურულ ქვეყნებში, ჩვენგან კი სიმცრუედ და ბოროტებად მიჩნეული, უარყოფილი მათგან, რომელთაც ან სულ არ უსწავლიათ იგი და თუ უსწავლიათ—ზერელედ და გაუგებრად.

რამდენადაც მახსოვს, ამერიკაში ერთხელ მოახდინეს ანკეტა, რომლის დროს კითხვა იყო დასმული—რომელი წიგნია ყველაზე უფრო შესანიშნავი მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთ წიგნად ანკეტის დროს აღიარებულ იქმნა ბიბლია. საქართველოს რესპუბლიკის კულტურამ კი ამ რამდენიმე თვეში ისე გადააჭარბა თურმე ამერიკას, რომ ეს წიგნი ბოროტებად ჩათვალა, მისი შესწავლა—როგორც მავნებელი, შემფერხებელი სახელმწიფოს განვითარების და წინსვლისა, მოიქნია და ტალახში გადააგდო.

მრწამს, რომ სალვთო სჯულის უარისმყოფთ ჰსურთ სახელმწიფოს განვითარება სწრაფი ნაბიჯით წაიყვანონ წინ და მალე დაამყარონ სოციალიზმი. ეს ერთგვარი ზნეობრივი მისწრაფებაა, მაგრამ სამღვთო სჯულის მოსპობა, როგორც შემაფერხებელი დაბრკოლება აღნიშნულ მიზნის მიღწევაში სრული უსამართლობა და გაუგებრობაა, რომელსაც შეუძლიან მოგვაგონოს ძველი დროის გოდლის შენება თავისი სამწუხარო შედეგებით. მოსპეთ, ბატონებო, სამღვთო სჯული, რელიგია, როგორც ბოროტება და შემაფერხებელი სახელმწიფოს წინსვლისა და სოციალიზმის დამყარებისა, მაგრამ მიეცით ხალხს ისეთი რამ მაგიერი, რაშიაც ბედნიერება ჰპოვოს და ყოველ-დღე სიცოცხლეს არ იწყევლიდეს. რა თქმა უნდა, სოციალიზმით გააბედნიერებთ ხალხს, მაგრამ როდის უნდა დაამყაროთ იგი! მიპასუხებთ—რამოდენიმე ასი ან შეიძლება ათასი წლის შემდეგ; მანამდის კი ისევ ის, რაც ხდება ჩვენს გარშემო; აბა გადაავლეთ თვალი როგორ წინ მიდის სიმშილის ცელი და დღესასწაულობს თავის გამარჯვებას. შეხედეთ ადამიანის სიმახინჯეს შექმნილ პირობების გამო.—სიტიტვლე, სიმშილი, ზნეობრივი გახრწნა ხალხისა—ყველაფერი ეს არსებობს და იარსებებს დიდხანს.

არავის შეუძლიან უარყოს სარწმუნოება, აღმზრდელობითი მნიშვნელობა სამღვთო სჯულისა, თუ მას კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთი არ აქვს იმისა, რომ არც ღმერთია, არც სარწმუნოება და არც ზნეობა.

ხშირად ამბობენ: სანამ მასსა შეუგნებელია, გაუნათლებელი ის არ დაკარგავს სარწმუნოებასო. მაშასადამე როცა ყველა ინტელიგენტი გახდება, აღარ იქნება სარწმუნოება, აქედგან რა თქმა უნდა ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ თანამედროვე ინტელიგენტთა-შორის ბევრი უნდა იყოს წინააღმდეგი სარწმუნოებისა, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. ნამდვილი შეგნებული ინტელიგენცია საზოგადოებისა სარწმუნოების საკითხს არასოდეს არ უყურებს უარყოფითი თვალსაზრისით. წინააღმდეგ, უმცირესობის გამოკლებით, ყველა მომხრეა სამღვთო სჯულის სწავლებისა სკოლებში. სარწმუნოების საკითხში ინტელიგენტმა შეიძლება ბევრი რამე ნახოს საეჭვო, შეიძლება მათში ღვთის უარისმყოფელნიც, მაგრამ სახარება მაინც სათაყვანებელ წიგნად აქვთ მიჩნეული და შესწავლა მისი აუცილებელ საჭიროებად.

უგნურს შეუძლიან ზღაპრად მიიჩნიოს ყველაფერი სამღვთო სჯულიდან, მაგრამ ჭეშმარიტად განათლებული კაცი, რომელსაც უნდა მეცნიერი გახდეს, სწავლობს სამღვთო სჯულს, როგორც ფილოსოფიას. მან შეისწავლა ყველა სპეციალური დარგი მეცნიერებისა, მაგრამ მაინც არა სთვლის თავს მეცნიერად, სანამ არ გაუვლია ის მეცნიერება, რომელიც ასწავლის ჩვენ დრომდე ყოფილ ხალხთა ცხოვრებას, მათ ზნეს, ჩვეულებებს, ადათებს, აზროვნებას, შემოქმედებას, უფლებას და მიზანს. ეს მეცნიერება—ღვთისმეტყველება გახლავთ, იგივე სამღვთო სჯული.

ერის პოლიტიკური არსებობა ურელიგიოთ წარმოუდგენელია. ეგრეთვე არსებობა ქართველი ერისა, რომლის პოლიტიკური და რელიგიური ზრდა შეხმატკბილებულად მიდიოდა წინ—ურელიგიოთ წარმოუდგენელია. ბიბლია, რომლის ნიადაგზედაც აღიზარდა ოქროს საუკუნის ქართველობა საუკეთესო მოძღვართა ხელმძღვანელობით, რამაც დაბადა საუკეთესო თვისებანი ქართველი ერისა—ხასიათის სიმტკიცე, ფაქიზი ზნეობა, ზრდილობა და თავის განწირვა მამულისათვის—ბიბლია, რომლის შესწავლა უკვდავი შოთას მხრით ასე ნაირად გამოსჭვივის მის „ვეფხვის ტყაოსანში“, კვალად უნდა დარჩეს საყვარელ წიგნად და სავალდებულო შესწავლის საგნად მოზარდი თაობისა, თუ არ გვინდა გადაგვარება ქართველი ერის.

დეკ. კ. კელენჯერიძე.

წამლის სიძვირის გამო.

(პროვინციელ აფთიაქართა და მოსამსახურე ფარმაცევტთა საყურადღებოდ.)

ბევრი პროვინციელი მეაფთიაქე გვეკითხება საათიაქო ნიხრის გადასინჯვა მომატების შესახებ და როგორც სანიხრო კომისიის წევრი მოვალედ ვთვლი ვაცნობო შემდეგი.

თბილისის მეაფთიაქეებმა, ორი თვის წინად მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ არსებული ნიხრით ვაჭრობა შეუძლებელ ჰხდის აფთიაქარს წამლები შეიძინოს, ვინაიდან ძველი ნიხრი ნასყიდობის ფასს ვერ ჰფარავს.

სხვათა შორის, იმ დროს, მოსამსახურბა ახალი მოთხოვნილება წარმოუდგინეს აფთიაქრებს. სადაც ყოველ მოსამსახურეზე განურჩევლად თანამდებობისა თვეში 500 მან. მომატებას თხოულობდენ.

სამინისტრომ მიანდო წამლის ფასების შესახებ ცნობების შეკრება მედიკო-სანიტარულ განყოფილებას და მიუთითა თუ ვინ უნდა ყოფილიყო სანიხრო კომისიის წევრები.

ამ რიგად კომისიაში შევიდნენ ქალაქის თვითმართველობიდან მიხ. არაზოვი, ქალაქთა კავშირებიდან ზ. კარაპეტიანცი, როგორც ნეიტრალური პირნი და ექსპერტნი ფარმაციის მაგისტრი პუპკისი და ილია ალხაზიშვილი.

აფთიაქრისაგან სათათბირო ხმით მ. ჩხეიძე და ნ. ბროიდო.

კომისიამ ერთ თვეზე მეტი იმუშავა. გადაათვალიერა რა ძველი, გაეცნო წამლების ფასებს ბირჟაზე, შეადგინა ახალი ნიხრი, თავისი აზრი დაასკვნა, ხოლო მედიკო-სანიტარულმა განყოფილებამ მოწონების და შესაფერი მოხსენების შემდეგ მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა.

მას შემდეგ ერთი თვე გადის. მეაფთიაქეთა წარმომადგენლებმა თავი მოაბეზრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ დღემდე ვერც დამტკიცებას და არც გამორკვეულ პასუხს ვერ ეღირსენ. სამინისტროს მის მაგიერ, რომ შეეგნო საქმის ვითარება და სწრაფი ზომები მიეღო სიტყვა ბანზე ააგდო და წამლების გაძვირება და ყველაფერი უბედურება მოსამსახურეებისაგან ჯამაგირის გადიდებას მიაწერა!

სამინისტროს საშინლად სურს წამლის გაიაფება, მაგრამ მარტო სურვილი წამალს არ აიაფებს.

საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობს.

მთელი თბილისი და საქართველოს დაბა-სოფლებიც ახალი ეპიდემიური ისპანიური ავათმყოფობით თავზარ დაცემულია.

ყოველ დღე რამოდენიმე მიცვალებულს შეხვდებით თბილისის ქუჩებზე.

წამალი თუმც შეიძლება იშოვოთ სპეციალისტებისგან, ან საწყობებში მაგრამ აფთიაქრები აღარ ყიდულობენ, რადგან ყიდვა მეტი დაუჯდებათ ვიდრე ნიხრი მას გაყიდვის ნებას აძლევს.

ამ რიგად ავადმყოფი ერთი აფთიაქიდან მეორეში მიდის, შემოივლის მთელ ქალაქს და სთხოვს ექიმს სხვა რამე გამოუწეროს. არის შემთხვევა ექიმი სამჯერ უცვლის რეცეპტს და ვაივაგლახით რაიმე მგზავს წამალს შოულობს.

სხვათა შორის საინტერესოა მკითხველისთვისაც ქვემო მოყვანილი ციფრები. ქვემოდ ჩამოთვლილი მედიკამენტები აფთიაქის მუშაობისთვის რეცეპტურის 70—80 პროც. შეადგენს. ყოველმა მოქალაქემ იცის ამათი სახელი და ისპანიური ავადმყობებისთვის ბევრი ამათგანი აუცილებელი საჭიროა.

წამლების სახელი.		აფთიაქარი ყიდულობს.	ძველი ნიხრ. ყიდულობდა
გამოხდილი წყალი	1 გირ.	50 კ.	17 კ.
ასპირინი	კილ.	400 მ.	230 მ.
ანტიპირინი	„	1400 „	630 „
ქინაქინი	„	1000 „	700 „
კაკაო	„	500 „	62.50
სისხლის მოსაჭრელი	„	1500 „	370 „
ბრომნარევი მარილი	„	290 „	170 „
პირამიდონი	„	1350 „	1410 „
ფენაცეტინი	„	1200 „	1060 „
სალოლი	„	700 „	520 „
იოდი	„	120 „	80 „
ვალერიანის წვეთები	„	50 „	30 „
უროტროპინი	„	200 „	63 „

აი ეს ცხრილი რომ გავითვალისწინოთ შეუძლებელია არ სთქვათ, რომ ამ პირობებში არც ერთს დაწესებულებას არ შეუძლია არსებობა.

მიხ. ჩხეიძე

კორესპონდენცია.

სოფ. წრომი. (გორის მაზ.) 27 ენკენისთვეს, საკუთარ ვენახში ვერაგულად მოკლეს გიორგი ტატიშვილის 19 წლის ვაჟიშვილი შაქრო. განსვენებული შაქრო იდეებით გატაცებული ყმაწვილი იყო, თავის ძმებთან ერთად სოფელს დიდ მეგობრობას უწევდა. იგი უმართავენ საკვირაო სკოლას და წარმოდგენებს. მუშაობდა ბაღებში და სოფლელებს მაგალითს უჩვენებდა. გლეხობას ის დაჰყავდა თავის ბაღებში და შაქროც დიდი გულისყურით ასწავლიდა ხილის და ვენახის მოვლა მოშენებას და მათ წამლობას. მოკვლის სამი დღის წინედ, ის მუშაობდა წრომელ ლექსო მურჯიკნელას ბაღში, განხილა მისი საფუტკრე. ხალხს თავი მოეყარა და ელაპარაკა ფუტკრის ცხოვრებაზე; აჩვენებდა ფიჭოს და უხსნიდა, რომელი,—მუშა ფუტკრისაა, რომელი სამამლის, და როგორ უნდა გამოიწუროს ფიჭადან თაფლი დაუზიანებლივ.

შაქრო ჯარშიც იყო ჩაწერილი და ორი კვირით დათხოვნილი მოჰკლეს უმიზეზოდ. სოფელს დააკლდა სათნო მეგობარი და მომავლის ნუგეში. მაგრამ ვერაგებმა ეს არ იკმარეს და საწყალ მამას ჯერ არც კი დაესაფლავებინა მოკლული შვილი, რომ მოძრავ ქონების ვაჭრობა გაუმართეს.

სწორედ აქვე მოჰკლეს ხალხისათვის თავდადებული ლევან ციციშვილი და ახლა აქვე დააბნელეს ჭაბუკის ნათელი სიცოცხლე! საჭიროა, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ საშინელებას და სასტიკი ზომები მიიღოს ავაზაკთა აღმოსაჩენად. საჭიროა, ახლავე გაფანტოს ის ღრუბლები, გორის მაზრაში რომ შავად იკრიბებიან!

ლ. ი—ელი.

რედაქტორი გირონტი ქიქოძე.

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—

თბილისში მოვა

ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეხვიაშვილი—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ. სნეულებ. (606—914 ...ლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტეროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 9, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი
ა. დ. ალექსიძე.

ახლად მოწყობილი სტამბა
ხელოვნება
(ველიამინოვის ქუჩა № 20)
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ალ. ასათიანის ნაწერი
მიწის საკითხი საქართველოში
წინასწრი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.
(10—10)

ექიმი
ნიკ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულებათა
საავადმყოფო
ამ მოგზაური განყოფილებ.
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
ჭიჭილიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ი. გ. მაღნაძისშვილის და დ. ...
ნაზარბეგიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მუზრაზიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა
...
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.